



ქ.თბილისი

ბრძანება № 2719

“26”

დეკემბერი

2012 წ.

**მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის  
მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 31 ივლისის #523 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ შესაბამისად, ვბრძანებ:

1. განისაზღვროს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

- ა) ქაღალდის ქსეროასლი - 300 ფურცლამდე (ერთჯერადად-არაუმეტეს 15 ფურცელი);
- ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 300 ფურცლამდე (ერთჯერადად-არაუმეტეს 15 ფურცელი).

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გენერალური დირექტორის მოადგილემ დავით ჩქარეულმა.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2012 წლის 03 იანვრიდან.

გიორგი ჯავახიშვილი